საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2240-03
13/10/2021

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბურგენლანდის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის ფარგლებში გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტის საფუძველზე, ბურგენლანდის უნივერსიტეტსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის 2017 წლის 4 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის 2021 წლის 13 ოქტომბრის N11855-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბურგენლანდის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის ფარგლებში გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირების წესი და პროცედურები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებისა და წესის დანართის უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება.

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს აღნიშნული წესის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის გაცნობა.

4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს მიაწოდოს ბრძანება უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლებს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს, იურიდიულ სამსახურს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი